სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 48

2011 წლის 18 ივლისი

ქ. თბილისი

ვაჟა-ფშაველას 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საკონფერენციო საგრანტო კონკურსის
გამოცხადებისა და კონკურსის პროგრამისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის, „საკონფერენციო გრანტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის №149 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 2011 წლის 8 ივლისის №05 ოქმის (გადაწყვეტილების) გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2011 წლის 18 ივილსს „ვაჟა-ფშაველას 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საკონფერენციო საგრანტო კონკურსი.“
2. დამტკიცდეს „ვაჟა-ფშაველას 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თემატური საკონფერენციო საგრანტო კონკურსის“ პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს ფონდის სისტემურ ადმინისტრატორს (გ. დავითაშვილს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge.
4. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური